ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №3

22 ნოემბერი, 2022 წელი.

დაბა ქედა,

**სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.**
**სხდომა დამთავრდა: 15:30 საათზე.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა აბულაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე - კომისიის წევრი;
გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**
თეონა ჯინჭარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით;
გენად ანანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ;
ჯემალ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ეკა გოგუაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი .

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2022 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ლევან ბერიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 2 | მზია ბოლქვაძე | კომისიის წევრი | |
| 3 | რომან დავითაძე | კომისიის წევრი | |
| 4 | ვაჟა აბულაძე | კომისიის წევრი | |
| 5 | არჩილ გორგილაძე | კომისიის წევრი | |
| 6 | ჯიმშერ სამნიძე | კომისიის წევრი | |
| 7 | მინდია არძენაძე | კომისიის წევრი | |
| 8 | ირაკლი მახარაძე | კომისიის წევრი | |
| 9 | გოჩა ჟღენტი | კომისიის წევრი | |

სხდომის თავმჯდომარე ლევან ბერიძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

**1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვა.**

**მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარე ლევან ბერიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი: 12-95223193-95, 15.11.2022 წელი) და ძირითადად განიხილა აღნიშნულ ბიუჯეტში ასახული ინფრასტრუქტურული პროექტები.

**აზრი გამოთქვეს:**

სხდომის თავმჯდომარე ლევან ბერიძემ დაზუსტებისთვის იკითხა ხანდაზმულთათვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობისათვის აღნიშნული თანხა, რამდენად საკმარისი იქნებოდა პროექტის განსახორციელებლად.

ასევე იკითხა განხორციელედებოდა თუ არა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხარაულაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა .

შ.პ.ს ,,კომუნალურსერვისისათვის“ გამოყოფილ თანხაში იყო თუ არა გათვალისწინებული ავტოფარეხის მშენებლობა.

ხანდაზმულთათვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით ჯემალ ტაკიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში მის განსახორცილებელად გამოყოფილია 230 000 ლარი, რომელიც პროექტის მიხედვით იქნა გათვალისწინებული.

მინი სპორტული მოედნების მოწყობასთან დაკავშირებით მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე მილიონნახევარი ლარის რესურსი ჰქონდა, თუმცა გარდამავალ ვალდებულებებზე იყო დამოკიდებული აღნიშნული პროექტის განხორცილება.

რაც შეეხებოდა, შ.პ.ს ,,კომუნალურსერვისისათვის“ ავტოფარეხის მშენებლობის საკითხს ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ დასმული საკითხი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ამ ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული.

კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერიძემ ავტოფარეხის მშენებლობასთან დაკავშირებით დააფიქსირა აზრი, რომ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულიყო აღნიშნული საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 6**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვიტა:**

1. **კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილ ბიუჯეტის მიმართ გამოთქმული აზრი წარედგინოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 15:30 საათზე დახურულად გამოაცხადა.

**კომისიის თავმჯდომარე:** **ლევან ბერიძე**

**ოქმი შეადგინა:**
**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით** **თეონა ჯინჭარაძე**